ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პოლიტიკის მეცნიერება

მარიამ ჩოხელი

განათლების რეფორმის როლი ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციაში

ნაშრომი შესრულებულია პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: სალომე დუნდუა

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი,

ასოცირებული-პროფესორი

თბილისი

2023

ანოტაცია

საქართველო დემოკრატიის ტრანზიციის პროცესშია, რისთვისაც მნიშვნელოვანია დემოკრატიასთან დაკავშირებული ასპექტების გათვალისწინება, რათა, საბოლოოდ, მივიდეთ მიზნამდე, ქვეყანას საკმაო რაოდენობის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ჰყავს, ხოლო მათი ინტეგრაცია ქვეყნის დემოკრატიული პროცესებისთვის მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით ახლა, როდესაც გაცხადებული კურსი გვაქვს ევროკავშირისკენ, შესაბამისად ეთნიკური უმცირესობის ინტეგრაციის საკითხი მნიშვნელოვანია დემოკრატიული პროცესებისთვის, ხოლო დემოკრატიული პროცესები თავის მხრივ მნიშვნელოვანია ჩვენი სამომავლო ხედვისთვის, ყოველივე ეს კი პრობლემის აქტუალობას კიდევ ერთხელ ცხადყოფს.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საბაკალავრო ნაშრომის მიზანია შევისწავლოთ ის, თუ რა შეცვალა განათლების რეფორმამ ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის კუთხით.

მოცემული კვლევა დაფუძნებულია თვისებრივ კვლევის მეთოდზე, რაც გულისხმობს დოკუმენტების თვისებრივ ანალიზს, კვლევის შედეგად შევისწავლე წყაროები ამ დოკუმენტთან დაკავშირებით, აგრეთვე ტექსტი მნიშვნელოვნად ეყრდნობა სიღრმისეულ ინტერვიუებს, რომელიც ჩატარდა უშუალოდ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან და ასევე იმ ექსპერტებთან, რომლებიც დაინტერესებულები არიან ამ საკითხის კვლევით.

სარჩევი

შესავალი 4

თავი.1 ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის თეორიული ასპექტები 9

თავი 2 საკანონმდებლო ბაზის ზოგადი მიმოხილვა 15

2.1 განათლების რეფორმის ზოგადი მიმოხილვა 18

თავი 3. განათლების რეფორმის შედეგად ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის მიზნით გატარებული პროგრამების ანალიზი 22

3.1 1+4 პროგრამა 29

დასკვნა 35

გამოყენებული ლიტერატურა 37

დანართი #1 40

დანართი #2 41

შესავალი

საქართველო ეთნიკური უმცირესობების მრავალფეროვნებით გამოირჩევა, 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით საქართველოში ეთნიკური ქართველი არის 87%, ხოლო 13% სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელია (ამირეჯიბი & გაბუნია, 2021, გვ. 1), როგორც ჩანს რაოდენობრივად ეთნიკური უმცირესობები მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენენ, ამასთანავე საქართველო არის გარდამავალი დემოკრატია, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრება, ხოლო თავის მხრივ დემოკრატიული პრინციპები გულისხმობს ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციას და მათ მაღალ ჩართულობას ქვეყნის პოლიტიკურ, თუ სამოქალაქო პროცესში. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველო დიდი ხნის მანძილზე საბჭოთა კავშირის შემადგენელობაში იყო, ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის პრობლემა დღის წესრიგში არ იდგა, რადგან თითოეული მათგანი უფრო დიდის ნაწილი, საბჭოთა მოქალაქეები იყვნენ, რის გამოც ეთნიკურობას მნიშვნელობა არ ენიჭებოდა (სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, 2011), ხოლო დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საკითხი დღის წესრიგში დადგა. დღესაც, როდესაც გაცხადებული კურსი გვაქვს ევროპისკენ აღებული, ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხი კვლავ აქტუალურია. ამასთანავე საქართველოს აქვს აღებული საერთაშორისო ვალდებულება, რომელიც სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პაქტის სახელით არის ცნობილი და რომლის 27-ე მუხლში წერია, რომ სხვადასხვა უმცირესობის წარმომადგენლებს „არ შეიძლება უარი ეთქვათ უფლებაზე იმავე ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად ისარგებლონ თავიანთი კულტურით, აღიარონ თავიანთი რელიგია და შეასრულონ მისი წესები, აგრეთვე ილაპარაკონ დედაენაზე“ (საერთაშორისო პაქტი - სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, 1966), შესაბამისად მნიშვნელოვანია ერთი მხრივ მათი კულტურის დაცვა, რაშიც მოიაზრება მათსავე ენაზე სწავლებაც და კულტურულ ასპექტებთან დაკავშირებული საკითხები, მეორე მხრივ კი მნიშვნელოვანია მათი ინტეგრაცია ქვეყანაში, რათა შექმნას ერთიანი სამოქალაქო იდენტობა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დემოკრატიულ სისტემებში განათლებას დიდი მნიშვნელობა აქვს, ამასთან მიმართებით საინტერესო მოსაზრება, რომელიც დაკავშირებულია დემოკრატიულ საზოგადოებასთან, რომ მსგავსი ტიპის

საზოგაოდეობას იმ სახის საგანმანათლებლო სისტემა უნდა ჰქონდეს, რომელიც ადამიანებს აღუძრავს ინტერესს კონტროლის საშუალებების, სოციალური ურთიერთობებისა და ისეთი გონებრივი თვისებების ჩამოყალიბების მიმართ, რომლებიც ისე გამოიწვევენ სოციალურ ცვლილებებს, რომ მას არ მოჰყვება რაიმე არეულობა საზოგადოებაში (დიუი, 2010). ამ შემთხვევაში იკვეთება დამოკიდებულება განათლებასა და დემოკრატიულ სისტემას შორის, რომ განათლებისთვისაც მნიშვნელოვანია თანასწორუფლებიანობის პრინციპი და ამის დანერგვა ხელს უწყობს დემოკრატიის დამკვიდრებას, შესაბამისად განათლების სისტემა, თუ არის ისე მოწყობილი, რომ თანასწორუფლებიანობის პრინციპი დაცულია, ეს ხელს შეუწყობს ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციას, ორივე კი ხელისშემწყობ ფაქტორად მოგვევლინება დემოკრატიზაციის პროცესში. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ განათლების სისტემა არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზა, რომლის საშუალებითაც ხდება ეთნო-კულტურულად განსხვავებული ჯგუფის ერთ პოლიტიკურ საზოგადოებად გარდაქმნა, დღესაც ნებისმიერი განვითარებული ლიბერალური-დემოკრატია საწორედ, რომ ამ მიდგომა იყენებს, ეს ინტეგრაციისთვის ერთ-ერთი ქმედითი მექანიზმია (დუნდუა & აბაშიძე, 2009). საქართველშიც სწორედ ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით გატარდა მნიშვნელოვანი რეფორმა განათლებაში, რეფორმას რამდენიმე ტალღა ჰქონდა, რომელთაგან ერთ-ერთი 2003-2004 წლებში იწყება და ეხებოდა ქართული ენის გაუმჯობესებასა და ამასთანავე უმცირესობების ენის დაცვასა და მათივე ენაზე განათლების მიღებას (დალაქიშვილი, ირემაშვილი, მიქელაძე, იმერლიშვილი , & ლაცაბიძე, 2020). შესაბამისად აქ იკვეთება განათლების რეფორმის როლი ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციასთან დაკავშირებით, ამიტომაც საინტერესოა ვიცოდეთ, თუ როგორ ფუნქციონირებს ეს რეფორმა ინტეგრაციასთან მიმართებით, რამდენად არის ეფექტური, ის პროგრამები რაც ხორციელდება ამ კუთხით, ამასთანავე საინტერესოა იმის განხილვაც, თუ რამდენად თანმიმდევრულია თითოეული პროგრამა და ავსებენ თუ არა ისინი ერთმანეთს.

თემის აქტუალობიდან გამომდინარე **კვლევის მიზანია** შევისწავლოთ ის, თუ რა შეცვალა განათლების რეფორმამ ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის კუთხით.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე **კვლევის ამოცანებია**

- შევისწავლო ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის კუთხით განათლების სფეროში გატარებული რეფორმები და მისი ინიციატივები.
- გავაანალიზო განათლების რეფორმის კუთხით ჩატარებული კვლევები.

კვლევის მიზნიდან და ამოცანიდან გამომდინარე **საკვლევი კითხვა** შემდეგი სახისა:

- როგორ შეიცვალა ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის ხარისხი განათლების რეფორმის შემდეგ?

თეორიული ჩარჩო

ნაშრომისთვის თეორიულ ჩარჩოდ ვიყენებ ლიბერალური მულტიკულტურალიზმის თეორიას, რომელსაც აქტიურად იყენებს კანადელი ავტორი უილ კიმლიჩკა (Kymlicka, 2017). ლიბერალური მულტიკულტურალისტები იზიარებენ რწმენას იმის შესახებ, რომ საჯარო ინსტიტუტებმა უნდა გაითვალისწინონ ყველა ის ინტერესი, რაც ინდივიდებს აქვთ, ეს ეხება მათ იდენტობას, კულტურასა, თუ ენას. ისინი მიიჩნევენ, რომ სახელმწიფოს ეკისრება პასუხისმგებლობა იმის შესახებ, რომ შექმნას სამართლიანი გარემო, რომელშიც მოიაზრება ენასა და კულტურის საჯარო აღიარებასთან დაკავშირებული ინსტიტუციური პირობები. კიმლიჩკა, ასევე საუბრობს სახალხო სუვერენიტეტზე, ის ამბობს, რომ საერთო ეროვნულობის გრძნობა ბიოლოგიურად არ არის თანდაყოლილი, ამიტომაც საჭიროა ის მუდმივად განმტკიცდეს, განმტკიცების მექანიზმად კი მას ესახება ეროვნული მედია, სიმბოლოები, დღესასწაულები, განათლების სისტემა და ენა (Kymlicka, 2017). აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კიმლჩიკა ჯგუფური უფლებების აუცილებლობაზე საუბრობს, რაც თითქოს ლიბერალიზმთან თანხვედრაში არ მოდის, თუმცა მისი მულტიკულტურალიზმის თეორია მაინც ლიბერალურია, რადგან ჯგუფური უფლებების აუცილებლობისას ის, ასევე ადგენს ინდივიდების დაცვის აუცილებლობას, შეიძლება ითქვას რომ მისთვის ჯგუფური უფლებები გაიგივებულია ინდივიდის უფლებებთან. ავტორი ერთმანეთისგან მიჯნავს ეროვნულ და ეთნიკურ უმცირესობებს, მისი თეორიის თანახმად ეთნიკურმა უმცირესობებმა დატოვეს საკუთარი კულტურა და გააკეთეს ეს იმით, რომ ინტეგრირდნენ ახალ საზოგადოებაში, რომელსაც ისინი იღებენ, ანუ ეს ჯგუფები უფრო ფართო საზოგადოებაში ინტეგრაციას ცდილობენ, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეთნიკური

უმცირესობებსა და ეროვნულ უმცირესობებს, შორის ის განსხვავებაცაა, რომ ეროვნული უმცირესობები მკვიდრი წეს-ჩვეულებების შენარჩუნებას ცდილობენ, ხოლო ეთნიკური უმცირესობები ინტეგრაციისკენ არიან მიმართულნი. ამასთანავე ავტორი ინტეგრაციასა და ასიმილაციას ერთმანეთისგან მკაფიოდ მიჯნავს. მისთვის ასიმილაცია ასოცირდება იძულებასთან, როდესაც ადამიანებს აიძულებ მიიღოს სხვისი კულტურა, ამიტომ მისთვის ინტეგრაცია გაცილებით მისაღები ტერმინია (Sanchez, 2009). აღნიშნულიდან გამომდინარე ვფიქრობ ამ თეორიით კარგად აიხსნება ის გადაწყვეტილებები, რაც განათლების რეფორმის პროგრამების მეშვეობით ტარდებოდა ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციისთვის, რადგან ჩვენი მიზანიც სწორედ რომ ინტეგრაცია იყო და არა ასიმილაცია, ამასთანავე საინტერესოა რამდენად სამართლიან და თანასწორ გარემო შექმნა რეფორმების შედეგად გატარებულმა პროგრამებმა ეთნიკური უმცირესობებისთვის.

კვლევის მეთოდოლოგია: კვლევის კითხვაზე პასუხის გასაცემად გამოვიყენე **თვისებრივი კვლევის მეთოდი,** შესაბამისად ამისთვის გამოვიყენე რამდენიმე ტექნიკა, კერძოდ, დოკუმენტების თვისებრივი ანალიზი, შევაგროვე ის კვლევები და წყაროები, რომლებიც დაკავშირებული იყო ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციასთან და ამასთანავე ყურადღება გამახვილებული იყო განათლების რეფორმაზე, ასევე გავაანალიზე განათლების რეფორმის შედეგად გატარებულ პროგრამები. პროგრამების ეფექტიანობის შესაფასებლად ჩავატარე 7 სიღრმისეული ინტერვიუ, აქედან 2 ინტერვიუ ჩატარდა ექსპერტთან, რომლებსაც შეხება ჰქონდათ ეთნიკური უმცირესობების საკითხთან, ამ კუთხით მოვისმინე მათი შეფასება, ხოლო დანარჩენ ინტერვიუები ჩავატარე უშუალოდ პროგრამებში მონაწილე პირებთან, აქედან 1 ინტერვიუ ჩავატარე იმ სტუდენტთან, რომელმაც დაასრულა უნივერსიტეტი და რიგ პროგრამაში იყო ჩართული, ასევე 2 ინტერვიუ ჩავატარე ქართული ენის მოსამზადებელ კურსის სტუდენტებთან, ხოლო დარჩენილი 2 ინტერვიუ ჩავატარე სტუდენტებთან, რომლებმაც დაასრულეს მოსამზადებელი კურსი და ამჟამად სწავლობენ უმაღლეს სასწავლებელში მაღალ კურსებზე. სიღრმისეულმა ინტერვიუმ უზრუნველყო საკითხისადმი მეტი ჩაღრმავება,

შესაბამისად შევძელი ის, რომ პროგრამების ეფექტიანობის შესახებ უფრო მეტი რესპონდენტებისგან გამეგო.

კვლევის ობიექტად **შეირჩა** განათლების რეფორმის შედეგად გატარებული ის პროგრამები, რომლებიც მიზნად ისახავდა ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციას. სიღრმისეულ ინტერვიუ ჩატარდა იმ პირებთან, ვისაც ეს პროგრამა ეხებოდა, შესაბამისად გამოვიყენე მიზნობრივ, არაშემთხვევით შერჩევას, აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ყურადღება გავამახვილე იმ პირებზე ვისაც რამდენიმე პროგრამა შეეხო.

კვლევის შეზღუდვები

განათლების რეფორმა თავისი არსით ბევრ პროგრამას მოიცავს, შესაბამისად კვლევის შეზღუდვად შეგვიძლია მივიჩნიოთ ის, რომ კვლევაში არ არის ყველა პროგრამა გაანალიზებული და ძირითადი აქცენტი გაკეთებულია 1+4 პროგრამასა და სკოლაში არსებულ ქართულ ენასთან დაკავშირებულ პროგრამაზე.

ლიტერატურის მიმოხილვა

უნდა გამოიყოს რამდენიმე ძირითადი ნაშრომი, რომელიც კვლევას დაეხმარა. პირველი ეს არის წიგნი, სადაც განხილულია დემოკრატიისა და განათლების ურთიერთმიმართება (დიუი, 2010), ასევე კვლევისთვის მნიშვნელოვ შემდგომი ნაშრომია, სადაც დაწვრილებით არის აღწერილი ეთნიკურ უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციასთან დაკავშირებული საკითხი (აბაშიძე ზ. , 2011), ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის პრობლემას ეხება შემდგომი ნაშრომიც, სადაც განხილულია ისტორიული ჭრილი ინტეგრაცაციასთან მიმართებით(დუნდუა & აბაშიძე, 2009), მნიშვნელოვანია ტექსტიც, რომელიც ეხება უმაღლესი განათლების რეფორმას ეთნიკური უმცირესობების კონტექსტში (აბაშიძე გ. , 2017), ხოლო შემდგომ ნაშრომში გაანალიზებულია, ასევე განათლების რეფორმა ინტეგრაციისც კუთხით, თუმცა ამ შემთხვევაში ყურადღება გამახვილებულია სკოლაზე (მალაზონია, მაღლაკელიძე, ჭიაბრიშვილი , & გახელაძე, 2017), ასევე კვლევისთვის შესაბამის ლიტერატურას წარმოადგენს ტექსტი, რომელშიც განათლების პოლიტიკის გამოწვევებზე არის საუბარი (დალაქიშვილი, ირემაშვილი, მიქელაძე, იმერლიშვილი , & ლაცაბიძე, 2020).

თავი.1 ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის თეორიული ასპექტები

ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციისა და ზოგადად მულტიკულტურალიზმის საკითხი მრავალ ქვეყანაში აქტუალური, რის შესახებ არაერთი ცნობილი ავტორი საუბრობს. საქართველო დიდი ხნის მანძილზე კომუნისტური რეჟიმს ქვეშ იყო, რამაც დიდი გავლენა იქონია, ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციაზე, რადგან ყველანი ერთი საბჭოთა იდენტობის ნაწილი იყვნენ და მის გარშემო ხდებოდა გაერთიანება, თანაც კომუნისტური რეჟიმის ქვეშ არ ხდებოდა აქტიურად ეროვნულობაზე ხაზგასმა ისეთ ქვეყნებში, სადაც რეალურად მულტიკულტურალიზმის ნიშნები გვხვდებოდა. პარადოქსია, მაგრამ კომუნისტური რეჟიმი თანამედროვე გაგებით დაიწყო ერების შექმნა იქ, სადაც ისინი აქამდე არ არსებობდა (ჰობსბაუმი, 2012), ხოლო უკვე არსებული ერების ჰომოგენიზაციას ცდილობდა, ყოველივე ამან გავლენა იქონია საქართველოზე და დღეს მთავარი ამოცანა, რაც საქართველოში ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის კუთხით გვხვდება, ესაა ერთიანი სამოქალაქო იდენტობის შექმნაზე ზრუნვა, რაც ხელისშემწყობ ფაქტორად შეგვიძლია აღვიქვათ ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციასთან მიმართებით, ხოლო თავის მხრივ სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშემწყობად უნდა განვიხილოთ განათლება. გამომდინარე იქიდან, რომ განათლება სოციალური პროცესია მას ინტეგრაციასთან აქვს ბმა და განათლებაში გატარებულმა რეფორმებმა შესაძლებელია გავლენა იქონიოს ეთნიკური ჯგუფების ინტეგრაციაზე და მისი საშუალებით მოხდეს ერთიანი სამოქალაქო იდენტობის ფორმირება (დიუი, 2010). ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის კუთხით არსებობს განსხვავებული თეორიები, რომლებიც საკითხს სხვადასხვანაირად უყურებენ. ერთ-ერთი ასეთ არის ასიმილაციის თეორია, რომელიც ამტკიცებს იმას, რომ ეს არის ბუნებრივი პროცესი, რომლითაც სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფები იზიარებენ საერთო კულტურას, ამ პროცესის დროს ხდება ეთნიკური უმცირესობების შერწყმა მეინსტრიმულ საზოგადოებაში (Zhou, 1997), ამ შემთხვევაში ძირითადი აქცენტი არის შერწყმაზე, რის შედეგადაც დომინანტი კულტურა ფაქტობრივად მთლიანად ცვლის პატარა კულტურას და მასთან იერთებს. კლასიკური ასიმილაციონისტებიც, სწორედ ამას ამტკიცებენ, რომ მიგრაციას მივყავართ „მარგინალურ ადამიანის“ მდგომარეობამდე,

რომელშიც ემიგრანტები მიყვებიან მასპინძელ კულტურას და მათი კულტურა უკანაპლანზე გადადის (Park, 1928). განსხვავებით ასიმილაციის თეორიისა, მულტიკულტურალიზმის თეორია გულისხმობს ტოლერანტობის დაცვასა და მრავალფეროვნების აღნიშვნას ინდივიდუალური და თანაბარი უფლებების საფუძველზე (Sanchez, 2009, გვ. 7), შესაბამისად ეს თეორია ორიენტირებული არის ეთნიკური უმცირესობების იდენტობის შენარჩუნებაზე, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ფართო საზოგადოების ნაწილნი არიან. მულტიკულტურალისტური მიდგომები აისახება კიდეც პოლიტიკაში და ასეთი პოლიტიკა მიზნად ისახავს შექმნას ისეთი საზოგადა, რომელიც იქნება ტოლერანტული განსხვავებების მიმართ, ამასთან დაკავშირებით საინტერესო პოზიციას აყალიბებს უილ კიმლიჩკა, რომლისთვისაც ლიბერალური მულტიკულტურალიზმი ორიენტირებულია სამართლიანი შესაძლებლობების უზრუნველყოფაზე (Kymlicka, 2017), ავტორი მიჯნავს ავლებს ეთნიკურ და ეროვნულ უმცირესობას შორის და ამის განმასხვავებლად იმას მიიჩნევს, რომ ეთნიკური ჯგუფები ფართო საზოგადოებაში ინტეგრაციას ცდილობენ, განსხვავებით ეროვნული ჯგუფებისა. ავტორი ასევე ერთმანეთისგან მკაფიოდ მიჯნავს ინტეგრაციასა და ასიმილაციას. ასიმილაცია თავის თავში ძალადობრივ ტერმინთან არის ასოცირებული, როდესაც ხდება სუსტი ჯგუფის აღრევა უფრო ფართო ჯგუფთან, ხოლო ინტეგრაცია თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობას გვაძლევს (Sanchez, 2009). კიმლიჩკა სახელმწიფოს როლზეც საუბრობს და ამბობს, რომ მას ეკისრება პასუხისმგებლობა იმასთან დაკავშირებით რომ შექმნას სამართლიანი გარემო, ამასთანავე ყურადღება მახვილდება სახალხო სუვერენიტეტზე, რომ საერთო ეროვნული სუვერენიტეტს მუდმივად სჭირდება განმტკიცება და ამისთვის სხვადასხვა მექანიზმების შემუშავებაა საჭირო, (Kymlicka, 2017). ავტორისეული ეს მიდგომა კვლევისთვის მნიშვნელოვან თეორიულ საფუძველს ქმნის და შესაძლებელია საკითხის განხილვა ამ კუთხით. გამომდინარე იქიდან, რომ კვლევაში ეთნიკური უმცირესობებზე არის აქცენტი, ხოლო კიმლიჩკა მას ეროვნულისგან მკაფიოდ მიჯნავს ზუსტად გადმოსცემს იმ მდგომარეობას რაც ქართულ რეალობაში გვხვდება, რადგან ჩვენს შემთხვევაში გვხვდება ეთნიკური უმცირესობა, რომელიც ინტეგრაციისკენ არის მიდრეკილი, განსხვავებით ეროვნული უმცირესობებისგან, რომელიც მკვიდრი წეს-

ჩვეულებების შენარჩუნებას გულისხმობს და მათთვის მნიშვნელოვანი არ არის ინტეგრაცია, თუმცა აქ უკვე შემოდის სახელმწიფოს როლი თუ ვთანხმდებით იმაზე, რომ ეთნიკური უმცირესობები ინტეგრაციისკენ არიან მიდრეკილნი აქვე უნდა გამოვკვეთოთ ისიც, თუ რამდენად ქმნის სახელმწიფო შესაბამის გარემოს მათთვის, რადგან ინტეგრაციისთვის აუცილებელია სახელმწიფოს პოლიტიკა აქეთკენ იყოს მიმართული და იქმნებოდეს შესაბამისი გარემო იმისთვის, რომ ჩამოყალიბდეს ერთიანი სამოქალაქო იდენტობა. ამ კუთხით კი საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ნამდვილად აქვს პროგრესი, რადგან იდგმება ნაბიჯები იმისთვის, რომ ქართველ ერის წევრი გახდეს მისი ყველა მოქალაქე, მისი სისხლის და ეთნიკურობის წარმოშობის მიუხედავად, სწორედ ამას ემსახურებოდა ის გადაწყვეტილება, რომ ოფიციალური დოკუმენტებიდან ამოიღეს ეროვნების გრაფა (ბუროუსი, აბაშიძე, მუხიგული, დუნდუა, & ქარაია, 2017, გვ. 40). აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზოგადად იდენტობის ფორმირებისთვის მნიშვნელოვან მარკერად არის მიჩნეული, ამის შესახებ საუბრობს სმითი და ავითარებს საინტერესო მოსაზრე, რომ მოდერნიზაციამ იდენტობის მთავარ საფუძვლად ენა და კულტურა წამოაყენა (სმითი, 2004) ამ პოზიციიდან იკვეთება ის, რომ იდენტობისთვის მნიშვნელოვანი მარკერი არის ენა, შესაბამისად ერთიანი იდენტობის შექმნისთვის, ერთიანი ენა მნიშვნელოვან ფუნქციას შეასრულებს. ამას გარდა, როდესაც კიმლიჩკა საერთო ეროვნული გრძნობის განმტკიცების მექანიზმებს გამოყოფს ერთ-ერთ მექანიზმად მოიაზრებს განათლების სისტემასა და ენას (Kymlicka, 2017), შესაბამისად ამ მექანიზმების გამართულად ფუნქციონირება დადებითად აისახება საერთო ეროვნული იდენტობის ფორმირებაზე, რაც თავის მხრივ სამოქალაქო ინტეგრაციის გაუმჯობესებას უზრუნველყოფს, მართალია, ინტეგრაციის კუთხით სხვა მექანიზმებიც გამოიყოფა, თუმცა ჩემი კვლევის კუთხით ეს ხაზი მნიშვნელოვანია, რადგან ის რეფორმა რაც ამჟამად განათლების სისტემაში ფუნქციონირებს, ენის კუთხით არის მიმართული, სწორედ ამ მხრივ არის საინტერესო კვლევის პროცესი და იმის დადგენა ყოველივე ეს მიდგომა საქართველოს შემთხვევაში რამდენად მართლდება და როგორ უწყობს ის ხელს სამოქალაქო ინტეგრაციას.

მნიშვნელოვანი აღვნიშნო იმ ნაშრომების შესახებაც, რომლებმაც დიდი დახმარებას გამიწიეს კვლევის პროცესში. მსგავსი თემატიკის ტექსტები, არის როგორც ადგილობრივ

დონეზე ნაკვლევი, ასევე საერთაშორისო მასშტაბით, რადგან პრობლემა გარდა საქართველოსი სხვა ქვეყნებშიც აქტუალურია. საინტერესო იყო ერთ-ერთი ასეთი ნაშრომი, რომელიც ეხებოდა საგანმანათლებლო რეფორმასა და ეთნიკურ უმცირესობების ჩართულობას სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, კვლევა საკმაოდ მასშტაბურია, რადგან გამოკითხვა ჩატარდა 10 ევროპის ქვეყანაში, მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ ნაშრომში ყურადღება გამახვილებული იყო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ არსებულ ეთნიკურ დაძაბულობაზე, რაც საქართველოს რეალობასთან საკმაოდ ახლოს დგას, ძირითადი აქცენტი ამ შემთხვევაში გაკეთდა სკოლებზე და მის როლზე ეთნიკური უმცირესობების ჩართვასთან დაკავშირებით, ამასთანავე საკმაოდ საინტერესო რეკომენდაციები გაიცა ინტეგრაციის კუთხითაც, თუ როგორ უნდა მოხდეს ეთნიკური უმცირესობების ჩართვა პროცესში (Frost, 2012), ყოველივე ეს საქართველოს შემთხვევაზეც აისახება და პრობლემები რაც პოსტსაბჭოთა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში დგას საქართველოშიც მსგავსია, თუმცა, რა თქმა უნდა, ეს იდენტური არ არის, თუმცა კვლევისთვის საკმაოდ საინტერესო საკითხებს გამოყოფს, რაც პარალელების გავლების საშუალებას იძლევა. ბრიტანეთის მაგალითზე არის დაწერილი შემდეგი სტატიაც, სადაც ყურადღება კვლავ განათლების რეფორმასა და მის მნიშვნელობაზეა გამახვილებული ეთნიკური უმცირესობების კონტექსტში, ნაშრომში კარგად ჩანს, რომ საგანმანათლებლო პოლიტიკაში განხორციელებულმა პოზიტიურმა ცვლილებებმა დადებითა გავლენა იქონია უმცირესობათა ჯგუფებზე, აღნიშნულია ისიც, რომ სკოლის მასწავლებლები უფრო ადაპტირებულები გახდნენ უმცირესობათა მიმართ, რაც თავის მხრივ დადებითად აისახა ბავშვთა საგანმანათლებლო მიღწევებზე, მართალია, ნაშრომი არ ასახავს თანამედროვე ვითარებას ბრიტანეთში, თუმცა კარგად აღწერს წლებთან ერთად მიდგომების განვითარებას, ამასთანავე გამოკვეთს განათლების ბაზრის ზოგიერთ ეფექტს ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებით, რაც კვლევისთვის საინტერესო საფუძველს ქმნის (Tomlinson, 1997). უნდა აღინიშნოს ადგილობრივ დონეზე არსებული ნაშრომებიც, რომელიც კვლევისთვის ვალიდურ ინფორმაციას იძლევა. ასეთი იყო ტექსტი, სადაც მნიშვნელოვანი კვლევა იყო ეთნიკური უმცირესობებისა და მათი სამოქალაქო ინტეგრაციის შესახებ, კვლევა მრავალფეროვანი და საინტერესო იყო იმ მხრივაც, რომ ჩემ კვლევის თემას ეხმიანებოდა. კარგად იყო წარმოჩენილი ისტორიული

ჭრილში ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხი, დაწყებული საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკიდან დამთავრებული ვარდების რევოლუციის შემდგომი პერიოდით. ასევე სამოქალაქო ინტეგრაციის კუთხით გამოყოფილი იყო შემდეგი მექანიზმები ენა, განათლება, სამოქალაქო გაერთიანება და სხვა. ამასთანავე ყურადღება იმაზეც იყო გამახვილებული, თუ რამხელა გამოწვევას ქმნის სამოქალაქო ინტეგრაციაში ენის ბარიერი, ტექსტში კარგად იყო ნაჩვენები სხვა ქვეყნების ისტორიული გამოცდილება ამ კუთხით (აბაშიძე ზ. , 2011), თუმცა ტექსტი 2011 წელს არის გამოცემული რაც რიგ საკითხებს ცვლის, გამომდინარე იქიდან, რომ ბევრი დროა გასული და ცვლილებები ამ მხრივ რიგ საკითხებში ნამდვილად შეინიშნება, მაგრამ ნაშრომი მაინც მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის ჩემი კვლევისთვის, ასევე კვლევისთვის საინტერესოა ნაშრომი, რომელშიც კარგად არის საქართველოს განათლების რეფორმის გატარების მექანიზმები და შედეგები ახსნილი, ამის პარალელურად მოშველიებულია საერთაშორისო მაგალითები, რაც საკითხის გაანალიზებაში უკეთ გვეხმარება, რაც მთავარია აქცენტი კეთდება ინტერკულტურულ განათლებაზე, რაც ჩემს თემას ეხმიანება და სამოქალაქო ინტეგრაციის თვალსაზრისით ეთნიკურ უმცირესობასთან მიმართებით საინტერესოა, თუმცა უნდა აღვნიშნო ისიც, რომ ნაშრომში მეტი ყურადღება დათმობილია სკოლის გამოცდილებაზე, რაც ჩემს საკვლევ თემას, სრულად ვერ ფარავს, თუმცა განათლების ზოგადი რეფორმისა და სამოქალაქო ინტეგრაციის თვალსაზრისით მეტად აუცილებელი ტექსტია, ყურადღება გამახვილებულია საქართველოს პოსტსაბჭოთა გამოცდილებასა და მის გავლენაზე, თუ როგორ რთულად იმოქმედა ყოველივე ამან ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციასთან მიმართებით და ამასთანავე ნაშრომში არის სასკოლო განათლების რეფორმის შეფასება და მოსწავლეების სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხი განხილული მულტიკულტურალიზმის ჭრილში (მალაზონია, მაღლაკელიძე, ჭიაბრიშვილი , & გახელაძე, 2017). ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო ნაშრომიც, რომელიც უმაღლესი განათლების რეფორმას ეხებოდა, გამომდინარე იქიდან, რომ წინა ტექსტი მხოლოდ ზოგადი განათლების საკითხს ფარავდა ეს ნაშრომი ჩემი კვლევის მეორე ნაწილს ავსებდა და ეხებოდა უმაღლესი განათლების რეფორმას და ამასთანავე ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის საკითხს, კარგად იყო დამუშავებული ისტორიული

მიმოხილვაც აქაც კარგ შესაძლებლობას გვაძლევდა, რომ ანალიზი უკეთ განგვეხორციელებინა, უშუალოდ უმაღლესი განათლების რეფორმასთან დაკავშირებით, კავშირი კარგად იკვეთებოდა ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციასთან მიმართებითაც, კარგად არის განხილული პროგრამები, რომლებიც უმაღლესი განათლების რეფორმის შედეგად განხორციელდა და საკმაოდ საინტერესო ის რაოდენობრივი მასალაც რაც ტექსტში არის მოყვანილი (აბაშიძე გ. , 2017). საინტერესოა ნაშრომი, სადაც განათლების პოლიტიკის გამოწვევებზე იყო საუბარი და ყოველივე ეს ნაკვლევი იყო ეთნიკური უმცირესობასთან მიმართებით, რაც ჩემი კვლევისთვის მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის, ნაშრომში დეტალურად არის გადმოცემული თეორიულად განათლების რეფორმა, ასევე ნაკვლევია საკითხები, რომელიც ეხება განათლების პოლიტიკას, კერძოდ, კი განათლების რეფორმას, კვლევას მნიშვნელოვნად ისიც ხდის, რომ 2020 წელს გამოცემულია, შესაბამისად თანამედროვე ტენდენციებს კარგად გამოკვეთს, სხვა ნაშრომებისგან განსხვავებით აქ საუბარია, როგორც ზოგადი განათლებაზე, ასევე უმაღლეს განათლების სისტემაზე და ორივე პროგრამის მოდელებია განხილული, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომი მთლიანად განათლების კუთხით არის აგებული და ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხს ნაკლებად მოიცავს, თუმცა ჩემთვის მნიშვნელოვანია ის მიგნებები რასაც აღნიშნული კვლევა გვთავაზობს (დალაქიშვილი, ირემაშვილი, მიქელაძე, იმერლიშვილი , & ლაცაბიძე, 2020).

ნაშრომების გაანალიზების საფუძველზე იკვეთება ის, რომ ეთნიკურ უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციასა და განათლების რეფორმას შორის არის გარკვეული ურთიერთმიმართება, რაც ჩემი კვლევისთვის საინტერესოა, თუმცა ისიც ჩანს რომ კვლევების უმეტესობა წინა წლებში არის ჩატარებული და ბოლო წლების მანძილზე უახლოესი მონაცემები არ გვაქვს, შესაბამისად ჩემი კვლევა ამ მხრივ სიახლის მომტანი იქნება, რადგან ამჟამად მიმდინარე პროცესებზე იქნება აქცენტი, ეს კი ნაშრომს ორიგინალურს გახდის.

თავი 2 საკანონმდებლო ბაზის ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს თანასწორობის პრინციპს, რაც მითითებულია კონსტიტუციის მე-11 მუხლში, რომ „ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია“ (საქართველოს კონსტიტუცია, 1995), ამასთანავე კონსტიტუციაში ისიც არის ნახსენები, რომ „საქართველოს მოქალაქეებს განურჩევლად მათი ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა, უფლება აქვთ ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე შეინარჩუნონ და განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში ან საჯაროდ“ (საქართველოს კონსტიტუცია, 1995), ყოველივე ეს კი აისახება განათლებაზე, კონსტიტუციაში ისიც არის მითითებული, რომ განათლების უფლება აქვს ყველა ადამიანს, შესაბამისად განათლების მიღებისას დაცული უნდა იყოს თანასწორობის პრინციპიც, რადგან განათლების უფლება აქვს ყველას, ხოლო თავის მხრივ საქართველოს ყველა მოქალაქეს იმის უფლებაც აქვს, რომ დისკრიმინაციის გარეშე თავიანთი ენით ისარგებლონ და შეინარჩუნონ თავიანთი კულტურა. აქედან გამომდინარე ისიც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ განათლების მიღებისას უნდა იყოს კულტურული და ენობრივი თავისებურებებიც გათვალისწინებული. ეს ყველაფერი არ მხოლოდ კონსტიტუციით არის გამტკიცებული, არამედ საერთაშორისო ვალდებულებებითაც, რომელსაც საქართველო შეუერთდა და რომელშიც ეთნიკური უმცირესობების კულტურის დაცვაზეა საუბარი, რაც თავიანთ ენაზე განათლების მიღების უფლებასაც მოიაზრებს (საერთაშორისო პაქტი - სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, 1966). ამას გარდა, აღსანიშნავია საერთაშორისო პრინციპი, რომელიც ბოლონიის პრინციპის სახელით არის ცნობილი და რომელიც ითვალისწინებ უმაღლესი განათლების მხრივ ერთიანი სივრცის ჩამოყალიბებას ევროპის მასშტაბით, აღნიშნულ პროცეს საქართველო 2005 წლიდან შეუერთდა, ბერგენის სამიტზე (ბოლონიის პროცესი: საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო, თ. გ.), ამასთანავე საქართველო ამავე წელს ხელი მოაწერა ეთნიკური უმცირესობების დაცვის ჩარჩო კონვენციას, რომელიც უმცირესობების უფლებების დაცვაზე არის ორიენტირებული („ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ ჩარჩო კონვენციის რატიფიცირების თაობაზე, 2005), ეს თარიღი იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ ამ წლიდან აქტიურად იწყება განათლების რეფორმაში ცვლილებები, კერძოდ, კი

უმაღლესი განათლების რეფორმასთან დაკავშირებულ პროცესებზეა საუბარი (დალაქიშვილი, ირემაშვილი, მიქელაძე, იმერლიშვილი , & ლაცაბიძე, 2020), თუმცა სანამ უშუალოდ რეფორმებს და მათ მსვლელობის პროცეს შევეხები უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოში გვაქვს სამი კანონი, რომელიც არეგულირებს განათლების სისტემას, ესენია „კანონი ზოგადი განათლების შესახებ“, „კანონი პროფესიული განათლების შესახებ“ და „კანონი უმაღლესი განათლების შესახებ". „კანონში ზოგადი განათლების შესახებ“, აქცენტი, როგორც სახელიდანვე ირკვევა ზოგად განათლებაზე კეთდება, კვლევისთვის კი საინტერესოა, მიდგომა ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებით, კანონის მე-13 მუხლში, საუბარია სკოლის ვალდებულებაზე იმისთვის, რომ მან ხელი შეუწყოს ურთიერთპატივისცემასა და შემწყნარებლობას მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და მშობლებს შორის განურჩევლად მათი კუთვნილებისა, რაშიც, რა თქმა უნდა, ეთნიკური კუთვნილებაც მოიაზრება (საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, თ. გ.), რაც შეეხება „კანონი უმაღლესი განათლების შესახებ“ მის მიზნებში ეთნიკური და ყველა სხვა ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვაზე არის საუბარი, ამასთანავე კანონის მე-16 მუხლში, რომელიც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის პრინციპებს შეეხება ნახსენებია თანასწორი მოპყრობის პრინციპი, რომელიც ეხება ყველას, მათ შორს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებსაც (საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, თ. გ.), ანალოგიური მიდგომა ვრცელდება კანონში „პროფესიული განათლების შესახებ“, სადაც თანასწორ მოპყრობის პრინციპზეა საუბარი განურჩევლად ყველაფრისა, რაშიც ეთნიკური მიკუთვნებულობაც არის ნახსენები (საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ, თ. გ.). აქვე მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ თითოეულ ამ კანონს აქვს თავის რეფორმა, რომელიც წლების განმავლობაშია საქართველოში არსებობს, ესენია უმაღლესი განათლების, ზოგადი განათლების და პროფესიული განათლების რეფორმა, აქ ხაზი უნდა გავუსვა იმასაც, რომ პროგრამები რომლებსაც ვიკვლევ მოიცავს უმაღლეს განათლებას და ზოგად განათლებას, შესაბამისად კვლევის ფარგლებში ძირითადი აქცენტი სწორედ, მათზეა გამახვილებული.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს საკანონმდებლო ბაზა, ფაქტობრივად არ ასხვავებს რაიმე სახის უმცირესობას

უმრავლესობისგან და მასაც იმავე უფლებებით აღჭურვას, თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვის მიმართ არსებული კანონის საქართველო საერთაშორისო ვალდებულებების მიერთების შედეგად უერთდება და მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციაში ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრაზე არის საუბარი და ამასთანავე თითოეულ კანონში, რომელიც ზემოთ განვიხილე საუბარი იყო ტოლერანტული და თანასწორი გარემოს შექმნაში დეტალურად ეთნიკური უმცირესობების დაცვის საკითხი არ გვხვდება, გარდა იმ საერთაშორისო ვალდებულებებისა, რასაც საქართველო არის მიერთებული, რაც შეიძლება ქმნიდეს იმ განწყობას, რომ ქვეყანაში უმცირესობის საკითხი უფრო მეტად გარედან არის შემოტანილი და მათ უფლებების დაცვაზე საუბარი რაღაცის გამო გვიწევს, ვიდრე ადგილობრივ დონეზე არსებული პოლიტიკური ნებისა. რაც პრობლემატურად შეიძლება აღვიქვათ, რადგან საკითხის სრულფასოვნად მოსაგვარებლად მისი რეალური მიზეზის დანახვაა საჭირო და არა უბრალოდ ვალდებულებების შესრულებისთვის რაიმეს გაკეთება.

2.1 განათლების რეფორმის ზოგადი მიმოხილვა

ზოგადად განათლება მნიშვნელოვანი რამ არის და ის სოციალური ცხოვრების ყველა ასპექტზე ახდენს გავლენას. მას აღიქვამენ, როგორც სოციალურ პროცეს, რომელიც მოიცავს აღზრდას, კულტივირებასა და სულიერად გამოკვებას. თანამედროვე სამყაროში სწორედ რომ განათლების ამოცანად იქცა მოქალაქეების ჩამოყალიბება (დიუი, 2010), ხოლო თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სახელმწიფოს მთავარი ძალა მისივე მოქალაქეებია და ის, თუ როგორი მოქალაქე ეყოლება ქვეყანას, გავლენას ახდენს მის ბედზე, შესაბამისად განათლება და მასთან დაკავშირებული ასპექტები სახელმწიფოსთვისაც მნიშვნელოვანი ხდება, რადგან განათლება აყალიბებს მოქალაქეებს, რომელიც შემდგომ სახელმწიფოს ემსახურებიან, ხოლო თავის მხრივ სახელმწიფოც ზრუნავს განათლების საკითხზე, ყოველივე ეს კი ერთიან ჯაჭვს ქმნის, რომელშიც სახელმწიფო წამყვან მნიშვნელობას იძენს, რადგან მას აქვს ბერკეტი იმის, რომ განათლება მიმართოს ხალხისკენ და დაეხმაროს მათ, რომ ჩამოყალიბდნენ ღირსეულ მოქალაქეებად. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ განათლების პოლიტიკა არ გაჩენილა მხოლოდ იმის გამო, რომ ადამიანმა იცოდეს ფიზიკა და მათემატიკა, ის გაჩნდა იმისთვის, რომ საკუთარი მოსახლეობისგან მიეღო მოქალაქეები. როდესაც სახელმწიფო ეფუძნება წარმომადგენლობით დემოკრატიას, ეს გულისხმობს იმას, რომ მისი ყველა მოქალაქე აღჭურვილი უნდა იყოს შესაბამისი სამოქალაქო ინსტრუმენტით, ეს ყველაფერი კი მოხდება იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქეებს ექნებათ ეს ინსტრუმენტი ცოდნის თვალსაზრისით (ინტერვიუ ექსპერტთან #2). აქვე უნდა გამოვყოთ მოქალაქეობრივი განათლების მნიშვნელობაც, რომელიც უკავშირდება განთავისუფლებას და აქტიური, კრიტიკული და ინფორმირებული მოქალაქეების განვითარებას გულისხმობს, რომლებიც სახელმწიფო საქმიანობასა, თუ სამოქალაქო ცხოვრებაში მონაწილეობას მიიღებენ და ქმედით ნაბიჯებს გადადგამენ. უშალოდ მოქალაქეობრივი განათლება კი მიზნად ისახავს აღზარდოს კარგი, დემოკრატიული მოქალაქეები (მალაზონია, ლობჟანიძე, მაღლაკელიძე, ჭიაბრიშვილი, & ნაცვლიშვილი, 2022, გვ. 87-88), სწორედ მოქალაქეობრივი განათლება არის ის საშუალება, რომელიც ხელის უწყობს ინტერკულტურულ საზოგადოებების ჩამოყალიბებასა და მის გაფართოებას. დღევანდელ ეპოქაში მოქალაქეობრივი განათლების საშუალებით უნდა

მოხდეს ხელშეწყობა ღიაობის, ქმედითი სოლიდარობისა და ინტერაქციაზე აგებული დინამიკური ურთიერთგაცვლის, მან უნდა გააერთიანოს ინტერკულტურული განათლების ტრადიციები (იქვე გვ. 89-90) შეიძლება ითქვას, რომ სწორედ მოქალაქეობრივი განათლება არის ის ძირითადი ჯაჭვი, რომლის საშუალებითაც მულტიკულტურულ საზოგადოებაში შესაძლებელია საერთო იდენტობის ფორმირება, რომელიც დაფუძნებული იქნება მოქალაქეობრივ გაგებაზე, რაც გამორიცხავს რაიმე ნიშნით დაძაბულობასა, თუ დისკრიმინაციას ეს იქნება რასიზმი, ეთნოცენტრიზმი, თუ სხვა. ყოველივე ამის განსახორციელებლად კი ქვეყნები ცდილობენ გარკვეული კანონები მიიღონ, რომელიც დაეხმარებათ მათ საერთო იდენტობის ფორმირებაში და მოქალაქეებს შორის გამოირიცხება რაიმეს სახით დისკრიმინაცია, ზოგადადაც ყველაფერი „იწყება სამართლებრივი საფუძვლიდან და მას მოჰყვება მერე ყველაფერი დანარჩენი“ (ინტერვიუ ექსპერტთან #2).

როგორც ზემოთ აღვნიშნე განათლების რეფორმა წლებია მიმდინარეობს, ამ პროცესის აქტიური ეტაპი დაიწყო 2003-2004 წლებში და მას ორი მიმართულება ჰქონდა. ერთი დაკავშირებული იყო უმცირესობებისთვის სახელმწიფო ენის გაუმჯობესების ხელშეწყობასთან, რაც ინტეგრაციის პროცესში მათთვის დახმარების გაწევას გულისხმობდა და მეორე მიმართულებაა მათ მშობლიურ ენაზე განათლების მიღების ხელშეწყობა (დალაქიშვილი, ირემაშვილი, მიქელაძე, იმერლიშვილი , & ლაცაბიძე, 2020). ამასთანავე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამავე პერიოდიდან საქართველო აქტიურად ხდება საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი და უერთდება საერთაშორისო ორგანიზაციების გადაწყვეტილებებს, რომელიც ეხება ეთნიკური უმცირესობებსა და მათ ინტეგრაციას, ყოველივე ამან კი წამახალისებელი ეფექტი იქონია განათლების რეფორმაზე და ამ კუთხით მეტი ყურადღება დაეთმო მას (ტაბატაძე & გორგაძე, 2013). ზოგადად რეფორმასთან დაკავშირებული საკითხები განათლების სისტემაში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომი პერიოდიდან აქტიურად იწყება, თუმცა კვლევისთვის საინტერესო პერიოდია იწყება 2003-2004 წლებიდან, როდესაც ზოგადი განათლების კუთხით მნიშვნელოვანი ცვლილებები გატარდა, ამ რეფორმის ძირითადი მიმართულება მოიცავდა სახელმწიფო ენის გაუმჯობესებას და ამ კუთხით სწავლებას, ასევე ეთნიკური უმცირესობებისთვის ინტეგრაციის ხელშეწყობას, მათი ენის დაცვას და

ამასთანავე მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უზრუნველყოფას, ამ რეფორმის ფარგლებში ქართულ ენასთან დაკავშირებით საინტერესო ასპექტები გვხვდება, მაგალითად დაიწყო სკოლებში სახელმწიფო ენის სწავლება და ეს გახდა სავალდებულო, ასევე იმ სკოლებში სადაც სწავლება მიმდინარეობდა სხვა ენაზე ამოქმედა პროექტი „ქართული, როგორც მეორე ენა“, ასევე პროგრამა „მომავალი იწყება დღეს“, რომელიც გულისხმობდა ქართული ენის შესწავლას, მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ რეფორმაში იყო ინტეგრაციის კუთხით დაკავშირებული ასპექტები, რომელიც ხელისშემწყობ ფაქტორად შეგვიძლია განვიხილოთ ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის გაღრმავებისთვის, ამ მხრივ იყო ისეთი ნაბიჯები გადადგმული, როგორიცაა არაქართულენოვან სკოლებში საქართველოში შედგენილი სახელმძღვანელოების შეტანა, რაც საერთო იდენტობის ფორმირებისთვის მნიშვნელოვანია, ასევე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ინტეგრაციისკენ იყო მიმართული ქართული ენის სწავლებასთან დაკავშირებული პროგრამები (დალაქიშვილი, ირემაშვილი, მიქელაძე, იმერლიშვილი , & ლაცაბიძე, 2020). დაახლოებით იგივე პერიოდიდან 2004-2005 წლებიდან იწყება მნიშვნელოვანი ეტაპები უმაღლეს განათლების სისტემაში და ამ სფეროს რეფორმის მნიშვნელოვან საწყისად შეგვიძლია ეს პერიოდი მოვიაზროთ, ამ რეფორმის გატარებასაც რამდენიმე მიმართულება ჰქონდა, ერთი დაკავშირებული იყო სახელმწიფოს ენის სწავლებასთან, ასევე ერთიანი ეროვნული გამოცდების შემოღება და ზოგადად უმაღლესი განათლების სისტემის მოწესრიგებაც ამავე პერიოდიდან იწყება, საინტერესოა ამ შემთხვევაში უმცირესობებთან დაკავშირებული ტენდენციაც, რაც გულისხმობს მათთვის ზოგადი უნარების ჩაბარების შესაძლებლობას მათსავე ენაზე. აქვე უნდა აღინიშნოს ის რომ რეფორმაში ქართულ ენასთან დაკავშირებით არაერთი პროგრამა ჩაეშვა, ერთ-ერთი ასეთია ქართული ენის მოსამზადებელი პროგრამა, რომელიც 2009 წლიდან ამოქმედდა და რომელიც დღემდე აქტიურად ფუნქციონირებს, პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტების გამარტივებული წესით თავიანთი მშობლიურ ენაზე უნარების გამოცდების ჩაბარების შემთხვევაში პროგრამაზე მოხვედრას, რის შემდეგადაც ერთი წლის განმავლობაში სტუდენტები ინტენსიურ მომზადებას გადიან ქართულ ენაში და შემდგომ უნივერსიტეტში საბაკალავრო საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას აქვთ. ეს პროგრამა 1+4

სახელით არის ცნობილი, ამ შემთხვევაში სტუდენტები 5 წლის განმავლობაში სწავლობენ, აქედან ერთი წელი ინტენსიურად ხდება ქართულ ენაში მომზადება და ქართულის სწავლება, ხოლო დანარჩენი 4 წლის განმავლობაში ისინი სასურველ ფაკულტეტსა და მიმართულებაზე აგრძელებენ სწავლას ბაკალავრიატის საფეხურზე, მნიშვნელოვანია აქ გამოვყოთ ის აქტივობებიც, რომელიც ინტეგრაციის კუთხით ხორციელდება რეფორმის ფარგლებში. მაგალითადა PITA-ს ფარგლებში „ახალგაზრდული ცენტრი“ და ტუტორის ინსტიტუტი, რომელიც ეთნიკური უმცირესობების სტუდენტებს ეხმარება საუნივერსიტეტო სივრცეში და მის ფარგლებს გარეთ ადაპტაციაში, რაც ინტეგრაციის ხელშემწყობი ფაქტორი ნამდვილად არის, რადგან გარდა ქართულ ენასთან დაკავშირებული პროგრამებისა, რომელიც ინტეგრაციისთვის მნიშვნელოვანია, მსგავსი არაფორმალური განათლების კუთხით განხორციელებული აქტივობები ეხმარება სტუდენტებს გახსნასა და ბარიერების დაძლევაში, რაც მათთვის ინტეგრაციის პროცეს მეტად ამარტივებს, ეს კი დადებით მოვლენად შეგვიძლია აღვიქვათ (დალაქიშვილი, ირემაშვილი, მიქელაძე, იმერლიშვილი , & ლაცაბიძე, 2020).

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ განათლება თავისი არსით ძალიან მნიშვნელოვანია მულტიკულტურალიზმის დროს, რადგან ის შეიძლება იქცეს იმ მთავარ მაკავშირებელ ძალად რაც ხელს შეუწყობს საერთო სამოქალაქო იდენტობის განვითარებას, ამის ნიშნები იკვეთება საქართველოს შემთხვევაში ზოგადად რეფორმების მიმოხილვისაც ჩანს, რომ არის მცდელობა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს ჩამოუყალიბდეთ ერთიანი სამოქალაქო იდენტობა და იყვნენ ინტეგრირებულნი სოციუმში, ამის ნიშნები შეინიშნება რეფორმის შედეგად გატარებულ პროგრამებსა, თუ აქტივობებში, რომლებიც მიმართულია ინტეგრაციისკენ.

თავი 3. განათლების რეფორმის შედეგად ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის მიზნით გატარებული პროგრამების ანალიზი

საერთო ეროვნული გრძნობა ბიოლოგიურად არ არის თანდაყოლილი და მას მუდმივად სჭირდება განმტკიცება, რისთვისაც არსებობს სხვადასხვა მექანიზმები, ამ მექანიზმებს შორის ერთ-ერთად კიმლიჩკა განათლების სისტემასაც მოიაზრებს (Kymlicka, 2017), სწორედ ეს არის საინტერესო კვლევისთვის, ის თუ როგორ ხდება საქართველოში განათლების რეფორმის შედეგად არსებული პროგრამებით საერთო ეროვნული გრძნობის გაღვიძება, განმტკიცება და ეს ყოველივე რამდენად ეხმარება სამოქალაქო ინტეგრაცია. შეიძლება ითქვას, რომ პრობლემებმა და გამოწვევებმა, რომლებიც ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის გზაზე დგას, განაპირობა განათლების რეფორმაში რიგი პროგრამების ჩაშვება, რომლებიც ხელისშემწყობი იქნებოდა მათი ინტეგრაციისთვის.

ერთ-ერთი ასეთი პროგრამა, რომელიც რეფორმის შედეგად ჩაეშვა არის ქართული, როგორც მეორე ენის სწავლება სკოლებში, ეს პროგრამა ხელს უწყობს ინტერკულტურული მგრძნობელობის ჩამოყალიბებას, რაც აისახება ამ პროგრამის სტანდარტის მიზნებში, ამ კუთხით შეიძლება გამოვყოთ ორი მიზანი, რომელიც ვფიქრობ ბმაშია ერთიანი იდენტობის ფორმირებასთან, რაც სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშემწყობ ერთ-ერთ ფაქტორად შეგვიძლია მოვიაზროთ. ეს მიზნებია, პირველი სახელმწიფო აზროვნების ჩამოყალიბება და მეორე ქართული ფასეულობებისა და ენობრივი-კულტურული თვითმყოფადობის პატივისცემა (ტაბატაძე & გორგაძე, 2013). საქართველოს მასშტაბით ამჟამად 208 არაქართულენოვანი საჯარო სკოლაა, ამ სკოლების გარდა მოქმედებს 89 არაქართულენოვანი სექტორი, სადაც სწავლება არაქართულ ენაზე მიმდინარეობს, შესაბამისად მოსახლეობის გარკვეული ნაწილი განათლებას არაქართულ ენაზე იღებს, რაც განაპირობებს იმას, რომ კურსდამთავრებულთა შორის ქართული ენის ცოდნის დაბალი ხარისხია, სწორედ ამიტომ დაიწყო განათლების სამინისტრომ აქტიური მუშაობა 2006 წლიდან და ამ კუთხით სხვადასხვა პროექტებს ახორციელებს, სწორედ ერთ-ერთი ასეთი პროექტია ქართული, როგორც მეორე ენის

სწავლება (ამირეჯიბი & გაბუნია, 2021). ზოგადად ქართული ენის ცოდნის დონე ეთნიკურ უმცირესობებში დღესდღეობით შემდეგნაირად გამოიყურება

ცხრილი#1: რესპონდენტთა ასაკი და ქართული ენის ცოდნის ხარისხი

ქართული ენის ცოდნის დონე %	რესპონდენტთა ასაკი (N= 1510)					
	18-24	25-34	35-44	45-54	55-64	65+
ცუდად	19.2	36.5	33.5	41.6	37.5	43.2
საშუალოდ	26.9	23.8	25.7	24	22.5	18.5
კარგად	53.9	39.7	40.9	34.5	39.8	38.2

მონაცემებიდან ჩანს, რომ მოსახლეობის საკმაოდ დიდმა ნაწილმა არ იცის ქართული სათანადოდ, საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ახალგაზრდებში ქართული ენის ცოდნის დონე გაცილებით მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა, ვიდრე ასაკიან თაობაში. 18-24 წლის ახალგაზრდების ნახევარზე მეტმა იცის ქართული კარგად, რასაც ვერ ვიტყვით 45-54 წლის მოსახლეობაზე, მათგან მხოლოდ 34.5% ფლობს ქართული (სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი და საქართველოს ღია საზოგადოების ფონდი, 2022, გვ. 75). მსგავსი ტენდენციას გამოკვეთს ერთ-ერთი რესპონდენტი და ჯავახეთში არსებულ სიტუაციას განიხილავს, ის აღნიშნავს, რომ ადგილობრივები ტერიტორიაზე კომპაქტურად არიან დასახლებულნი, შესაბამისად მათ გარკვეულ ნაწილში არის ასეთი დამოკიდებულება, რომ მათ არ სჭირდებათ ქართული ენის ცოდნა, თუმცა ის იმასაც აღნიშნავს, რომ ახალგაზრდა თაობაში ეს ტენდენცია შეცვლილია და „ახალგაზრდები ფიქრობენ, რომ ინტეგრაციისთვის ყველაზე მოკლე გზა ენის სწავლაა“ (ინტერვიუ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ სტუდენტთან #1). უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ენის ცოდნა, რომ სამოქალაქო ინტეგრაციისთვის მნიშვნელოვანია ცხადყოფს ისიც, რომ საქართველოს სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სტრატეგიაში ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად ითვლება, 2021 წლის ანგარიშში, სულ გამოყოფილია 5 მიმართულება, ესენი სახელმწიფო ენა ინტეგრაციის მხარდასაჭერად, ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობა, თანასწორი, სამოქალაქო და პოლიტიკური

მონაწილეობა, სოციალური და ეკონომიკური ინტეგრაცია და კულტურათაშორისი დიალოგი (შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, 2022), პრიორიტეტული მიმართულებიდან პირველ ადგილზე, სწორედ რომ სახელმწიფო ენის ინტეგრაციის მიზნით მხარდაჭერა არის გამოყოფილი, ანგარიშში საუბარია იმის შესახებ, რომ ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობას საზოგადოების სხვადასხვა სფეროში, დიდწილად ენის ცოდნა განსაზღვრავს, ამიტომ არის პრიორიტეტი ეს მიმართულება ინტეგრაციის კუთხით (იქვე). ამაზე, ასევე მეტყველებს სტატისტიკური მონაცემებიც, სადაც ენის ცოდნა პირდაპირ კავშირშია დასაქმებასთან (დეტალები იხილეთ ცხრილი#2).

ცხრილი #2 ქართული ენის ცოდნის დონე და დასაქმების სტატუსი

დასაქმების სტატუსი % (N=1494)	ქართული ენის ცოდნის ინდექსი		
	ცუდად	საშუალოდ	კარგად
დაქირავებული საჯარო სექტორში	4	9	18.3
დაქირავებული კერძო სექტორში	4.7	7	7.8
თვითდასაქმებული	27.1	38.3	26
უმუშევარი (ეძებს სამსახურს)	10	12.5	16.2
ადამიანი სამუშაო ძალის მიღება (პენსიონერი, სტუდენტი, დიასახლისი ა.შ.)	54.2	33.3	31.7

ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ ენის დონის გაუმჯობესებასთან ერთად დასაქმების წილი კერძო და საჯარო სექტორში იზრდება (სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი და საქართველოს ღია საზოგადოების ფონდი, 2022, გვ. 70), შესაბამისად აქედან კიდევ ერთხელ იკვეთება ის, თუ ზოგადად რამხელა მნიშვნელობა აქვს ეთნიკურ უმცირესობებში ენის სწავლებას, სამოქალაქო ინტეგრაციაზე. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გარდა სკოლაში არსებული პროგრამისა ენის სწავლების კუთხით მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს ჟვანიას სკოლაც, რომელიც განათლების რეფორმის შედეგად არსებულ პროგრამებთან არის კავშირში და რომელიც ფუნქციონირებს 2005 წლიდან ამ

სკოლის ერთ-ერთი მიზნის სწორედ, რომ უმცირესობების ერთიან სახელმწიფო სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობაა, 2014 წლიდან განახლებული პროგრამა დაემატა, რომელიც „სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამით“ არის ცნობილი (სკოლის ისტორია სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა, თ. გ.). მიუხედავად იმისა, რომ ქართული ენის სწავლებას მნიშვნელობა ენიჭება სკოლებში და ამას გარდა სხვა პროგრამებიც არის ჩართული, ენის ათვისება მაინც გამოწვევად რჩება. ამაზე მეტყველებს მე-7 კლასის მოსწავლეებში ჩატარდა კვლევა, სადაც „ქართულის, როგორც მეორე ენის“ პროგრამა არის შეფასებული და ნაჩვენებია მონაცემები მოსწავლეთა მიღწევებისა და ზოგადი ენობრივი კომპონენტებთან დაკავშირებული შედეგების კუთხით.

დიაგრამა#1 მოსწავლეთა შედეგები მიღწევების საფეხურის მიხედვით (მოსწავლეთა %)



დიაგრამიდან ჩანს, რომ მოსწავლეთა 63.7% ვერ ახერხებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნების დაძლევას მინიმალურ დონეზეც კი, ხოლო მოსწავლეთა 12.7% მინიმალურად ასრულებს მოთხოვნებს, შესაბამისად გააჩნიათ მინიმალური ცოდნა ქართულ ენაში (შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2019, გვ. 14) მონაცემებიდანაც, იკვეთება რომ შედეგი არც, თუ ისე კარგია და არაქართულენოვან სკოლებში ქართული ენის სწავლება, კვლავ გამოწვევად რჩება, რაც შემდგომში ინტეგრაციის პროცესში დიდ ბარიერს ქმნის.

სკოლაში არსებულ გამოწვევების შესახებ ჩემს მიერ გამოკითხული რესპონდენტებიდან გამოიკვეთა რამდენიმე პრობლემა. პირველი ესაა *მასწავლებლის დაბალი კვალიფიკაცია*

„სკოლაში ჰყავს ქართულის მასწავლებელი, რომელმაც ქართული თვითონ არ იცის, როგორ უნდა ასწავლოს და როგორ უნდა ისწავლოს ბავშვმა, როცა კომუნიკაციის არანაირი არხი არ არსებობს. მარტივი ის ვთქვათ, რომ ახლა ქართულ არხებს არ უყენებენ, თქვენ იცით რომ მაგალითად წალკის რაიონის სოფლებში ქართულ არხებს უბრალოდ ვერ იჭერენ“, ამასთანავე პრობლემურია კადრების რაოდენობა და მათი მომზადება, დღეს ფაქტობრივად მულტილინგვური განათლების პროგრამაა ერთადერთი, რომელიც ამზადებს მასწავლებლებს არაქართულენოვანი სკოლებისთვის, სხვა მხრივ საქართველოში ამ კუთხით სკოლებისთვის მასწავლებლების მომზადება არ ხდება, რაც ასევე შემაფერხებელ ფაქტორად შეგვიძლია განვიხილოთ (ინტერვიუ ექსპერტთან #1), შემდეგი რესპონდენტი იხსენებს, რომ მის სკოლაში ქართულის მასწავლებელმა არ იცოდა ქართული ენა, მხოლოდ პრიმიტიულ დონეზე, ამიტომ მანაც ვერ ისწავლა ენა სათანადოდ მანამ, სანამ უნივერსიტეტში არ ჩააბარა, ის ასევე იმასაც აღნიშნავს, რომ მისი მასწავლებელი მხოლოდ იმიტომ ასწავლიდა სკოლაში, რომ ერთადერთი სომეხი იყო იმ ტერიტორიაზე ვინც ქართულად წერა-კითხვა იცოდა და ეს პიროვნება დღემდე მუშაობს იქ, ქართულის გაკვეთილებთან დაკავშირებით კი იხსენებს შემდეგს „ქართული ენის გაკვეთილზე ყველაფერს ვაკეთებდით ქართული ენის სწავლის გარდა“ (ინტერვიუ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ სტუდენტთან #1), დაახლოებით მსგავსი პრობლემა აქვთ სხვა გამოკითხულებსაც, რომ ქართულის გაკვეთილები სათანადოდ ვერ ტარდება სკოლაში, რაოდენობრივად 3 გაკვეთილი თუ არის გათვალისწინებული კვირაში ხშირად ისიც ვერ ტარდება, ამასთან ერთად პრაქტიკული გამოცდილება არ აქვთ არანაირი ქართულ ენასთან დაკავშირებით (ინტერვიუ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელთან, ამჟამად არის ქართული ენის მოსამზადებელი კურსის სტუდენტი #1). მსგავსად ხდება სხვა სკოლებშიც სადაც, პრაქტიკა ქართულ ენასთან მიმართებით ძალიან მწირია (ინტერვიუ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელთან, ამჟამად არის ქართული ენის მოსამზადებელი კურსის სტუდენტი #2). ამას გარდა იყო შემთხვევები როცა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები პოზიტიურად აფასებდნენ, თავიანთ ქართული ენის მასწავლებლის კვალიფიკაციას, თუმცა ერთ-ერთი იმასაც აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი პრობლემა მას არ შეჰქმნია, იცნობს იმ ადამიანებს მეზობელ სოფლებში ვისაც,

სკოლებში მსგავსი პრობლემა ჰქონდათ (ინტერვიუ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელთან, რომელმაც დაასრულა უნივერსიტეტი).

შემდეგი საკითხი, რომელიც გამოიკვეთა ესაა *სახელმძღვანელოების პრობლემა სკოლებში.* ჩვენთან „იყო ხშირად შემთხვევები ვთქვათ სომხურენოვან სკოლებში სომხეთის ისტორიას ასწავლიდნენ სომხეთში გამოცემული წიგნებით, ან აზერბაიჯანულ ისტორიას ასწავლიდნენ აზერბაიჯანში გამოცემული წიგნებით, რა თქმა უნდა, ეს არ არის მართებული, იმიტომ არა რომ ეს წიგნები ცუდია ან კარგია, უბრალოდ იმიტომ რომ ეს არ არის საქართველოს სახელმწიფოს სტანდარტის მიერ შექმნილი სახელმძღვანელოები“ ისტორია არის ისეთ რამ რომელიც იძლევა ინტერპრეტაციის საშუალებას, ეს იმას არ ნიშნავს რომ ისტორია პროპაგანდისტულად უნდა ვასწავლოთ, მაგრამ სახელმწიფოები ისე ასწავლიან, როგორც მათ ესმით საკუთარი ქვეყნის ისტორია, როგორც არის ისე ხდება სწავლება და ეს მნიშვნელოვანია, სხვა შემთხვევაშია არ ჩამოყალიბდება მოქალაქეების საერთო წარმოსახვა სამშობლოზე (ინტერვიუ ექსპერტთან #2), ამ საკითხზე უშუალოდ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებიც საუბრობენ და გამოყოფენ შემდეგს „ქართული ენის წიგნების პრობლემაა ეთნიკური უმცირესობებისთვის ჩემი აზრით. უფრო კარგად უნდა იყოს დაკომპლექტებული წიგნები, აი მოგეხსენება რომ ქართული არის ერთ-ერთი რთული ენა, შესაბამისად წიგნები იყო ძალიან სუსტი, ვფიქრობ უფრო კარგად უნდა იყოს დაკომპლექტებული წიგნები“ (ინტერვიუ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელთან, რომელმაც დაამთავრა უნივერსიტეტი), წიგნების პრობლემის საკითხს ეხება სხვა რესპონდენტი, რომელიც აღნიშნავს, რომ „წიგნები ისეთი იყო რომ ამ წიგნებით ვერანაირად ვერ სწავლობ ქართულს, მაგალითად რა ვიცი დიალოგები იყო მხოლოდ“ (ინტერვიუ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ სტუდენტთან #1), შემდეგი სტუდენტიც ანალოგიურ პრობლემაზე საუბრობს, რომ მის წიგნებში ქართულის გრამატიკა და თვითონ წიგნის სტრუქტურა არ იყო სათანადოდ აწყობილი და ვერ ხდებოდა სწავლება კარგად დადებით ასპექტად მხოლოდ იმას მოიაზრებს, რომ მას ქართულის მასწავლებელი ჰყავდა (ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი, ამჟამად ქართული ენის მოსამზადებელი კურსის სტუდენტი #1), თუმცა იყო შემთხვევები, როდესაც განსხვავებული პრაქტიკა ჰქონდა რესპონდენტს, რომლის სკოლაშიც ისწავლებოდა

იგივე წიგნებით, რაც ქართულენოვან სკოლებშია და წიგნებთან დაკავშირებით რაიმე სახის სერიოზული პრობლემა მას არ შეჰქმნია (ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი, ამჟამად ქართული ენის მომამზადებელი კურსის სტუდენტ #2).

როგორც ინტერვიუებიდან ჩანს, ძირითადი პრობლემა ქართული, როგორც მეორე ენას პროგრამასთან მიმართებით, არის ის რომ სათანადოდ სკოლის პერიოდში არ ხდება ენის სწავლება, რაც შემდგომ ეტაპზე პრობლემას ქმნის, უახლეს კვლევაში, რომელიც ამ პროგრამის შეფასების მიზნით ჩატარდა სკოლის მოსწავლეებში, მსგავსი პრობლემა არის გამოკვეთილი, კვლევის დასკვნაშიც მითითებულია, რომ პროგრამის ზოგადი სტრატეგია და სპეციფიკა გარკვეულ კორექტირებას საჭიროებს, ამასთანავე გაიცა რეკომენდაციები, რომლებიც ეხება მასწავლებლის კვალიფიკაციას, ქართული ენაში ოთხივე კომპონენტის გაუმჯობესების საჭიროებას, რესურსების ხელმისაწვდომობის ზრდას და სხვა (შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2019). აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ, მართალია, პროგრამა შემუშავდა სამოქალაქო ინტეგრაციის გაღრმავების მიზნით, რაც ითვალისწინებდა ენის ბარიერის დაძლევას, თუმცა როგორც ჩანს ენის სწავლება სკოლაში კვლავ პრობლემად რჩება, შესაბამისად ეს ინტეგრაციის პროცესზე ახდენს გავლენას.

3.1 1+4 პროგრამა

სამოქალაქო ინტეგრაციისთვის მნიშვნელოვანი პროგრამა არის 1+4. ეს არის პროგრამა, რომელიც „შეიქმნა იმისთვის, რომ სკოლაში არსებული რაღაც პრობლემა ამით ჩაგვენაცვლებინა, იმ გარკვეული სირთულეების გამო, რაც სკოლაში გვხვდება“ (ინტერვიუ ექსპერტთან #1), აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კანონმდებლობით ეს პროგრამა მიჩნეულია დროებით პროგრამად, რომელიც მიმართულია სამოქალაქო ინტეგრაციისკენ, თავდაპირველად, როდესაც კანონი შემუშავდა ამ პროგრამის მოქმედების ვადად განისაზღვრა 2018-2019 სასწავლო წელი, თუმცა შემდგომ კანონში შევიდა ცვლილება და დღეის მონაცემებით 90-ე მუხლის თანახმად პროგრამის მოქმედების ვადად არის მიჩნეული 2023-2024 სასწავლო წელი (საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, თ. გ.).

პროგრამის მუშაობა დროსთან დინამიკაში მეტყველებს მონაცემები (იხილეთ დიაგრამა#2) სტატისტიკიდან კარგად იკვეთება, რომ პროგრამას აქვს პროგრესი, რაც გამოიხატება იმაში, რომ წლებთან ერთად სტუდენტთა რაოდენობა ვინც ამ პროგრამაზე სწავლობს იზრდება, რაც დადებითი დინამიკაა 2010 წელთან შედარებით 2021 წლის მონაცემები 5-ჯერ აღემატება, რაც თვალსაჩინო შედეგს იძლევა, თუმცა ისიც უნდა გამოიკვეთოს რომ ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ისეთი ტემპით არ გვაქვს რაოდენობის ცვლილება, როგორც ეს პროგრამის დაწყების პირველ წლებში იყო.

დიაგრამა #2 „1+4 საგანმანათლებლო პროგრამის“ სტუდენტების რაოდენობა წლების



მიხედვით (შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, 2022, გვ. 7) პროგრამასთან მიმართებით დადებით ტენდენციაზე საუბრობს ერთ-ერთი რესპონდენტი „მანამდე ყველა აზერბაიჯანელი და

სომეხი სტუდენტი მიდიოდა საზღვარგარეთ ზოგი რუსეთში, ზოგი სომხეთში, ზოგი აზერბაიჯანში, ახლა მაგალითად ნინოწმინდიდან სტუდენტების თითქმის ნახევარმა ჩააბარა თბილისში, რაც ძალიან კარგია“, რესპონდენტი ასევე იხსენებს თავის პრაქტიკას და ამბობს რომ ბევრ ადამიანს იცნობს ვინც ჩააბარა ამ პროგრამის საშუალებით უნივერსიტეტში და წარმატებით დაასრულა, ახლა კი მუშაობენ საქართველოში (ინტერვიუ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელთან, რომელმაც დაამთავრა უნივერსიტეტი), მიუხედავად იმისა, რომ პროგრამაზე მოთხოვნა მზარდია მასაც აქვს გარკვეული ხარვეზები. რაც ინტერვიუების ჩატარების პროცესშიც გამოკვეთა ეს არის *ენის სწავლებასთან დაკავშირებული საკითხები* ისინი აღნიშნავენ, რომ „პროგრამის ფარგლებშიც ვერ ვისწავლეთ იმ დონემდე ენა რომ საკმარისი იყოს. პირველი კურსისთვის აკადემიური მასალა სულ სხვა იყო და ის რაც ვისწავლეთ ძალიან სხვა... ძალიან რთული იყო ეს პერიოდი, პირველი კურსი“ ის ასევე აღნიშნავს რომ „კარგი იქმნებოდა როდესაც ამ პროგრამის ფარგლებში დაიწყებ რაღაც ტერმინების გაცნობას და აკადემიური მასალების სწავლას“ (ინტერვიუ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ სტუდენტთან #1), ანალოგიურ შემთხვევას იხსენებს სხვა რესპონდენტი, რომლისთვისაც ძალიან რთული იყო პირველ კურსზე რაიმეს გაგება და აკადემიურ ტექსტებთან გამკლავება (ინტერვიუ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ სტუდენტთან #2), ასევე პრობლემატურია *აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის საკითხი და ერთიანი გეგმის არარსებობა* „1+4 შემთხვევაში მთავარი პრობლემა არის ის, რომ ერთიანი სახელმძღვანელო ამ კუთხით არ არსებობს, ყველა თავისი ხედვით უყურებენ ამ პრობლემებს, მაგრამ ამით პრობლემა არ გვარდება, მთავარი პრობლემა, ასევე არის მასწავლებელი, ამ მასწავლებლების კვალიფიკაცია კითხვისნიშანის ქვეშ არის. ის რომ ის კარგი ფილოლოგია, არ ნიშნავს იმას, რომ ის ქართული, როგორც მეორე ენის კარგი მასწავლებელია“, ასევე ამ პროგრამის გამოწვევა ისიცაა, რომ ეს ვერ არის მაინც ის პროგრამა, რომელმაც უნდა მოახერხოს მათი ინტეგრირება და მათი ჩართულობა, ამ ყველაფერთან ერთად „იმასაც აქვს მნიშვნელობა, რომელ ინსტიტუციაში მოხვდებიან ეს სტუდენტები. ახლა მაგალითად ერთ უმაღლესში შეიძლება ადმინისტრაცია ზრუნავდეს მათ შემდგომ ინტეგრაციაზე, მეორეში კი არა და მარტო ის ერთი წელი არ არის არაფერი ამ მხრივ“ (ინტერვიუ ექსპერტთან #1). ანალოგიურ პრობლემაზე საუბრობენ

მოსამზადებელი კურსის სტუდენტები, „ვფიქრობ მოსამზადებელი ფაკულტეტის ლექტორები არა ყველა მაგრამ გარკვეული ნაწილი არ არიან ის სპეციალისტები, რომლებიც უნდა ასწავლონ ბავშვებს“, ასევე აღნიშნავს, რომ „ჩვენს უნივერსიტეტს არ აქვს კონკრეტული გეგმა როგორ უნდა გაიარონ ეს მოსამზადებელი ფაკულტეტი ეს წელი, სხვა უნივერსიტეტს აქვს“ (ინტერვიუ ქართული ენის მოსამზადებელი კურსის სტუდენტთან #1), ერთიანი გეგმის მნიშვნელობაზე ამახვილებს ყურადღებას შემდგომი რესპონდენტი „ყველა საგანი, ყველა მიმართულება უნდა იყო განმსჭვალული ერთი მიზნისკენ“ (ინტერვიუ ექსპერტთან #2) რაც, სამწუხაროდ, ჩვენს შემთხვევაში ასე არ ხდება პროგრამას, მართალია, დადებით ეფექტს იძლევა, თუმცა აქ უნდა გვქონდეს ერთიანი ხედვა, თუ რა არის ჩვენი მიზანი. „ჩვენი მიზანი რა უნდა იყოს სკოლა გავაძლიეროთ თუ ეს პროგრამა დავტოვოთ და დავტოვოთ? მაგრამ ის მნელია ეს არ არის, ამიტომ აქცენტი ამ კუთხით გაძლიერებაზე კეთდება“ (ინტერვიუ ექსპერტთან #1). გარდა ამ პრობლემებისა მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ ისიც, რომ ზოგადად ჩაბარების და დამთავრების მჩვენებელი ერთმანეთისგან განსხვავდება.

ცხრილი #3 2010-2014 წლებში ჩარიცხულთა დამთავრების მაჩვენებელი

უსდ/პროგრამა	2015-2019 კურსდამთავრებულები	2010-2014 ჩამბარებელთა რაოდენობა	%
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	401	1499	26.70%
სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	138	398	34.70%
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	99	385	25.70%
სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	59	229	25.70%
სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	123	212	58%
სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	18	59	30.50%
სხვა უნივერსიტეტები	19	95	20%
სულ	857	2877	29.80%

მონაცემებიდან ჩანს, რომ ჩაბარებულების რაოდენობა გაცილებით მაღალია, ვიდრე იმ სტუდენტების რაოდენობა ვინც დაასრულა უნივერსიტეტი (ტაბატაძე, გორგაძე, & გაბუნია, 2020). ეთნიკურ უმცირესობებში სწავლის მიტოვებაზე სხვადასხვა ფაქტორები ახდენს გავლენას, ეს ფაქტორებია ქორწინება; ენობრივი კომპეტენცია, რომლის გამოც

სტუდენტები ვერ ახერხებენ დაძლიონ პროგრამა; სპეციალობაში აკადემიური მოუმზადებლობა, რაც შემდგომში იწვევს სწავლის მიტოვებას, ან მობილობას სხვა სპეციალობაზე; ფინანსებთან დაკავშირებული პრობლემები და ქვეყნის დატოვება (იქვე გვ.101), ყოველივე ეს ცუდად აისახება პროგრამის ეფექტურობაზე, ამასთანავე რადგან ინტეგრაციის საკითხს ვეხებით მნიშვნელოვანია იმ, მონაცემებზე დაკვირვებაც, რომლებიც დაკავშირებულია უმცირესობების დასაქმების მაჩვენებელთა, ამ კუთხით კი მონაცემები შემდეგი სახისაა.

დიაგრამა #3 კურსდამთავრებულთა მიერ დასახელებული ბარიერები დასაქმებისთვის



როგორც მონაცემებიდან ჩანს, საბაკალავრო საფეხურის დასრულების შემდეგ დასაქმების მხრივ ყველაზე მეტ პრობლემას ქმნის ენის არასათანადო ფლობა, გამოკითხულთა 80% სწორედ ასე ფიქრობს, მეორე ადგილას კი დგას ბიუროკრატიული მექანიზმები, რომელი პროცენტული წილი 70% აღემატება, აქვე საინტერესოა ისიც, რომ კურსდამთავრებულთა თითქმის 70% პრობლემას ხედავს იმაში, რომ სკოლაში მათ ვერ მიიღეს სათანადო განათლება (იქვე გვ. 120). ბოლო აღნიშნული ფაქტიდან ჩანს, რომ მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა უმაღლეს სასწავლებელში ფუნქციონირებს მის ეფექტზე, შემდგომ დასაქმების მხრივ, მაინც სკოლაში მიღებული დაბალხარისხიანი განათლება ახდენს გავლენას. შეგვიძლია ვთქვათ, რომ პროგრამა გარკვეულწილად მუშაობს, თუმცა ის მოკლევადიან მიზანს ემსახურება და გრძელვადიან პერსპექტივაში ის არავალიდურია, როგორც დასაწყისში აღვნიშნე ეს პროგრამა ერთგვარად დროის მოგების მიზნით იქნა შემოღებული, რათა სხვა პრობლემების გამოსწორებისთვის დრო ყოფილიყო, თუმცა როგორც ჩანს ამ კუთხით რაიმე ცვლილება არ გვხვდება, კვლევებშიც

არის ზოგადად განათლების რეფორმის მიმართ ამ მხრივ პრობლემაზე საუბარი და ნათქვამია ის, რომ ხარვეზების აღმოსაფხვრელად საჭიროა არსებობდეს, უფრო მეტად დეტალური და თანმიმდევრული გეგმა იმის შესახებ, თუ რომელმა უწყებამ რა უნდა გააკეთოს (დალაქიშვილი, ირემაშვილი, მიქელაძე, იმერლიშვილი , & ლაცაბიძე, 2020). მართალია, სახელმწიფო 2017 წლიდან დანერგა 1+4 პროგრამის სტუდენტებისთვის სტაჟირების პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს ეთნიკური უმცირესობების ახალგაზრდების საჯარო სამსახურში ჩართვა, ამ პროგრამის შედეგად დღემდე სულ 361-მა ბენეფიციარმა მიიღო მონაწილეობა, თუმცა ეს პროგრამა არ არის მაინც საკმარისი, თანაც საკმაოდ ახალია და ამასთანავე 2020 წელს პანდემიის გამო მას დიდი ჩავარდნა ჰქონდა და პროგრამა, მხოლოდ 2021 წლიდან განახლდა (შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, 2022). გარდა იმ ნაკლოვანებისა რაც პროგრამას ახასიათებს უნდა გამოვყო ის პოზიტიური მხარეც, რაც უშუალოდ ინტერვიუების ჩატარების დროს გამოიკვეთა და რაც მნიშვნელოვანია სამოქალაქო ინტეგრაციისთვის, პირველი ეს არის ის, რომ პროგრამის ფარგლებში არის შერეული ჯგუფები, რაც სტუდენტებს ეხმარებათ ინტეგრირდნენ, მათგან განსხვავებულ ჯგუფებთან და თან გაიუმჯობესო ქართული ენის ცოდნაც, ასევე პოზიტიურად აფასებენ ისინი ტუტორის პროგრამას, რომლის საშუალებითაც მათ აქვთ კომუნიკაცია ქართველ სტუდენტებთან, ასევე აღნიშნავენ იმასაც, რომ ამ პროგრამის ფარგლებში „იმართება სხვადასხვა ექსკურსია, ღონისძიება, ასევე გვაქვს ტუტორიუმის ჯგუფი და ისინიც გვეხმარებიან ინტეგრაციაში“ (ინტერვიუ ქართული ენის მოსამზადებელი კურსის სტუდენტთან #1), მაღალკურსელებიც იმავეს იხსენებენ ტუტორის პროგრამიდან, რომ თავდაპირველად ეს პროგრამა დაეხმარა იმაში, რომ გარემოს შეჰგუებოდნენ და ქალაქში ორიენტირება მარტივად მოეხერხებინათ. საინტერესო პოზიციას გამოხატავს, შემდეგი რესპონდენტი, რომელიც მომამზადებელი კურსის ფარგლებში არსებულ საგანზე საუბრობს „ამ სემესტრში ჩვენ გვაქვს საგანი ტოლერანტობა, რომლის ფარგლებში ვსწავლობთ ერთმანეთის კულტურის მრავალფეროვნების შესახებ, ეს დიდი უპირატესობაა, მიუხედავად იმისა რომ ჩვენს ქვეყნებს შორის დაძაბული ურთიერთობებია, ჩვენ უნდა პატივს ვცეთ ერთმანეთს, რადგან ვცხოვრობთ აქ საქართველოში, ერთ ქვეყანაში, რომელიც გვაძლევს იმის

შესაძლებლობას, რომ ვიცხოვროთ მეგობრულად. ამ სემესტრში მე ბევრ აზერბაიჯანელთან დავმეგობრდი, რითაც ძალიან კმაყოფილი ვარ“ (ინტერვიუ ქართული ენის მოსამზადებელი კურსის სტუდენტთან #2). ამ პოზიციიდან, ნამდვილად, იკვეთება ის თუ რა პოზიტიური გავლენა შეიძლება ჰქონდეს პროგრამას სამოქალაქო ინტეგრაციისა და საერთო სამოქალაქო იდენტობის ფორმირებისთვის.

საბოლოოდ, ზემოთ აღნიშნულმა მონაცემებმა ცხადყო, რომ 1+4 პროგრამას აქვს რიგი გამოწვევები, სამოქალაქო ინტეგრაციის კუთხით, თუმცა მისი მოქმედების მექანიზმი მაინც ყველაზე წარმატებულად მიიჩნევა, ამიტომაც არის რომ დღემდე პროგრამის გაუმჯობესებისკენ არის მიმართული საკითხი, თუმცა როგორც გამოიკვეთა მარტო ამ პროგრამის გაუმჯობესება შედეგს ვერ მოგვცემს და საჭიროა არსებობდეს ერთიანი ხედვა, რაც სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხს გააღრმავებს.

დასკვნა

სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხი დღის წესრიგში საქართველოს შემთხვევაში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ აქტიურად დადგა და გამოიკვეთა, რომ საკანონმდებლო დონეზე ამ კუთხით რაიმე ხარვეზი არ გვაქვს, რადგან საკანონმდებლო ბაზა ამ კუთხით მოწესრიგებულია და კანონის დონეზე რაიმე სახის დისკრიმინაციას გამორიცხავს მის მოქალაქეებს შორის, თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ინტეგრაციასთან დაკავშირებული საკითხების დღის წესრიგში დაყენება უფრო მეტად მას შემდეგ დაიწყო, რაც საერთაშორისო ვალდებულებებს შევუერთდით, რაც იძლევა იმ დასკვნის გამოტანის საშუალებას, რომ ინიციატივები უფრო მეტად გარედან არის ნაკარნახევი, ვიდრე ადგილობრივი პოლიტიკური ნების შედეგი. უშუალოდ რეფორმის მხრივ კი გამოიკვეთა ის, რომ განათლების არსი და ფუნქცია რეფორმებში საკანონმდებლო და სტრატეგიის დონეზე კარგად არის გამოკვეთილი და ძირითადად აქცენტი მიმართულია ინტეგრაციის პოლიტიკაზე და ასიმილაციის ტენდენციები არსად იკვეთება, პირიქით რეფორმებში ჩადებულია სამოქალაქო ინტეგრაციის კუთხით ხელშემწყობი ინიციატივები.

რაც შეეხება უშუალოდ მიზანს, უნდა აღინიშნოს, რომ კვლევა მიზნად ისახავდა შეგვესწავლა ის, თუ რა შეცვალა განათლების რეფორმამ ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის კუთხით, კვლევისთვის მნიშვნელოვანი იყო გაგვეცა კითხვაზე პასუხი, იმასთან დაკავშირებით თუ როგორ შეიცვალა ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის ხარისხი განათლების რეფორმის შემდეგ?

კვლევის შედეგად კი დადგინდა, რომ განათლების რეფორმის შემდეგ უმცირესობების ინტეგრაციის ხარისხი გარკვეულწილად შეიცვალა და ამ მხრივ წინსვლა ვლინდება, განსაკუთრებით 1+4 პროგრამის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რეფორმის შედეგად გატარებულ პროგრამების მიზნებში ყველგან ხასგასმულია სამოქალაქო ინტეგრაციასთან დაკავშირებული საკითხის ხელშეწყობა, რეალურად მხოლოდ 1+4 პროგრამის საშუალებით ხდება უკეთესად ამ მიზნის მიღწევა, ამიტომაცაა ძირითადად ეს პროგრამა მიჩნეული უალტერნატივოდ და მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობით ეს დროებით პროგრამაა, დღემდე მაინც მის გაძლიერებაზე კეთდება

აქცენტი, ასევე კვლევის შედეგად გამოიკვეთა ის რომ პროგრამებში ძირითადი აქცენტი ენის სწავლებაზე კეთდება, რაც ინტეგრაციისთვის საკმარისი არ არის, თანაც მიუხედავად იმისა რომ ენის ცოდნაცს ამხელა მნიშვნელობა ეთმობა პროოგრამებში ეს მაინც ვერ აუმჯობესებს ენის ცოდნის ხარისხს, რაც გამოიკვეთა იმაში, რომ კურსდამთავრებულთა უმრავლესობას დასაქმება, სწორედ, რომ ენის არცოდნის გამო უჭირს, შესაბამისად ენის არ ცოდნა მთავარ დამაბრკოლებელ ბარიერად იქცევა სამოქალაქო ინტეგრაციის კუთხით სხვა მექანიზმების გააქტიურებისთვის. ამასთანავე დადგინდა ისიც, რომ განათლების რეფორმის კუთხით არ არსებობს ერთიანი მკაფიო სტრატეგია და ერთიანი მიზანი, რომელიც ყველა პროგრამისა და პროექტის ერთმანეთთან შეაკავშირებს, ბმა განათლების სფეროებს შორის რეფორმების კუთხით თითქმის არ ვლინდება და წლების მიუხედავად ამ ბმის გამოკვეთ მაინც არ ხდება.

გამოყენებული ლიტერატურა

აბაშიძე, გ. (2017). *უმაღლესი განათლების რეფორმა და ეროვნული უმცირესობათა ინტეგრაციის პრობლემა საქართველოში.* თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

აბაშიძე, ზ. (2011). *ეთნიკური უმცირესობები და სამოქალაქო ინტეგრაცია.* თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ამირეჯიბი, რ., & გაბუნია, კ. (2021). *საქართველოს უმცირესობები: ინტეგრაციის გზაზე არსებული ბარიერების ნგრევა.* თბილისი: ლევან მიქელაძის სახელობის ფონდი.

ბოლონიის პროცესი: საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო. (თ. გ.). მოპოვებული საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო: https://mes.gov.ge/content.php?id=1856&lang=geo-დან

ბუროუსი, გ., აბაშიძე, ზ., მუხიგული, ქ., დუნდუა, ს., & ქარაია, თ. (2017). *დემოკრატია და მოქალაქეობა.* თბილისი: საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდი.

დალაქიშვილი, მ., ირემაშვილი, ნ., მიქელაძე, თ., იმერლიშვილი , მ., & ლაცაბიძე, ს. (2020). *ეთნიკური უმცირესობების მიმართ განათლების პოლიტიკის სისტემური გამოწვევები.* თბილისი: ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC).

დიუი, ჯ. (2010). *დემოკრატია და განათლება.* თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

დუნდუა, ს., & აბაშიძე, ზ. (2009). *ეთნიკური და რელიგიური იდენტობის საკითხები და სამოქალაქო ინტეგრაციის პრობლემები თანამედროვე საქართველში.* თბილისი: ინტელექტი.

„ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ ჩარჩო კონვენციის რატიფიცირების თაობაზე. (2005, ოქტომბერი 13). Retrieved from საქართველოს საკანონმდებლო მაცნე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/43390?publication=0

მალაზონია, დ., ლობჟანიძე, ს., მაღლაკელიძე, შ., ჭიაბრიშვილი, ნ., & ნაცვლიშვილი, ნ. (2022). *დემოკრატიული მოქალაქეობა საქართველოს სკოლებში.* თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

მალაზონია, დ., მაღლაკელიძე, შ., ჭიაბრიშვილი , ნ., & გახელაძე, გ. (2017). *ინტერკულტურული განათლება. პრობლემები, მათი ანალიზი და განვითარების პერსპექტივები საქართველოში.* თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

მაცაბერიძე, მ. (2021). *სალექციო კურსი: კავკასიის შედარებითი პოლიტიკა.* თბილისი.

საერთაშორისო პაქტი - სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ. (1966, დეკემბერი 16). Retrieved from საქართველოს საკანონმდებლო მაცნე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1398335?publication=0

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წლების სახელმწიფო სტრატეგია. (2021). Retrieved from შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი: https://smr.gov.ge/uploads/Files/_%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90/danarti_1.pdf

საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ. (n.d.). Retrieved from საქართველოს საკანონმდებლო მაცნე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=98

საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ. (n.d.). Retrieved from საქართველოს საკანონმდებლო მაცნე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/23608?publication=17

საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ. (n.d.). Retrieved from საქართველოს საკანონმდებლო მაცნე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830?publication=101

საქართველოს კონსტიტუცია. (1995, აგვისტო 24). Retrieved from https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36

სკოლის ისტორია სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა. (n.d.). Retrieved from სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო: http://www.zspa.ge/

სმითი, ე. დ. (2004). *ნაციონალიზმი თეორია, იდეოლოგია, ისტორია.* თბილისი: ქართული ენის საერთაშორისო ცენტრი.

სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი და საქართველოს ღია საზოგადოების ფონდი. (2022). *ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების სოციალური ექსკლუზიის (გარიყვის) კვლევა.* თბილისი: საქართველოს ღია საზოგადოების ფონდი.

სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი. (2011). *დემოკრატიზაციის პროცესი, რეგიონული კონტექსტი,ეროვნული უმცირესობები და კონფლიქტების ტრანსფორმაცია (საქართველოში არსებული სიტუაციის ანალიზი).*

ტაბატაძე, შ., & გორგაძე, ნ. (2013). *ინტერკულტურული განათლების ასპექტების კვლევა საქართველოში სკოლების დაწყებით საფეხურზე.* თბილისი: სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობის ცენტრი.

ტაბატაძე, შ., გორგაძე, ნ., & გაბუნია, კ. (2020). *საშუალავათო პოლიტიკის ეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში.* თბილისი: სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობის ცენტრი.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი. (2022). *სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში.* თბილისი: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი. (2019). *სახელმწიფო შეფასება, ქართული, როგორც მეორე ენა (VII კლასი).* 2019: შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი.

ჰობსბაუმი, ე. (2012). *ერები და ნაციონალიზმი 1780 წლიდან.* თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

Frost, D. (2012). *A case of educational reform from the ground up: Involving ethnic minority parents in the life of the school in South East Europe.* University of Cambridge, UK.

Kymlicka, W. (2017). *Liberal Multiculturalism as a Political Theory of State-Minority Relations.* SAGE.

Park, R. E. (1928). Human Migration and the Marginal Man. *American journal of Sociology*.

Sanchez, M. (2009). *Liberal Multiculturalism and The Problems of Difference in the Canadian Experience.* CIDE.

Tomlinson, S. (1997). *Diversity, Choice and Ethnicity: the effects of education markets on ethnic minorities.* London: Carfax Publishing Ltd.

Zhou, M. (1997). *Segmented Assimilation: Issues, Controversies, and Recent Research on the New Second Generation.* New York: Center for Migration Studies of New York, Inc. Retrieved from http://www.jstor.org/stable/2547421 .

დანართი #1

კითხვარი (ექსპერტისთვის)

მოგვიყევით თქვენს შესახებ როდიდან და რატომ დაინტერესდით ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხით?

ზოგადად რას ფიქრობთ რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის კუთხით? ამ მხრივ რა მექანიზმებს გამოყოფბდით?

ზოგადად როგორ შეაფასებდით განათლებს როლს ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციასთან დაკავშირებით?

საქართველოში არსებულ განათლების რეფორმას, რომ შევეხოთ როგორ შეაფასებდით მის როლს ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის კუთხით?

განათლების რეფორმიდან, რომელ პროგრამას გამოარჩევდით ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის კუთხით? რატომ?

თქვენი აზრით არის, თუ არა მნიშვნელოვანი იყოს გარკვეული კავშირი, ბმა იმ რეფორმებს შორის, რომელიც ტარდება განათლების სისტემაში ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის კუთხით? ამ მხრივ როგორ შეაფასებდით საქართველოში არსებულ მდგომარეობას, რამდენად გვაქვს ბმა?

თემასთან დაკავშირებით რამეს ხომ არ დაამატებდით?

დანართი #2

კითხვარი (ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის)

მოგვიყევით თქვენს შესახებ, როგორ აღმოჩნდით უმაღლეს სასწავლებელში? რა იყო ამის წინაპირობა?

გთხოვთ მოგვიყვეთ, თქვენი აკადემიური ცხოვრების განმავლობაში, ვგულისხმობ სკოლის პერიოდიდან დღემდე უმცირესობათა ინტეგრაციის კუთხით რა პროგრამებში ყოფილხართ ჩართული?

რესპონდენტის პასუხიდან გამომდინარე თითოეული პროგრამის შესახები იქნება კითხვა, როგორ შეაფასებდა პროგრამას? რა ნაკლი ან ღირებულება ჰქონდა მას სამოქალაქო ინტეგრაციის კუთხით?

რა იყო ის ძირითადი გამოწვევა რასაც ამ პროგრამის გავლისას წააწყდით?

ახლანდელი გადმოსახედიდან რას შეცლიდით მასში? რატომ?

რამეს ხომ არ დაამატებდით?